№ 2645
ოთხშაბათი,
20 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2645
ოთხშაბათი,
20 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

უდროვოთ გარდაცვლილბულის ძვირფასი შვილის

ემელიან ლავრენტის ძის როფაქიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სოფელ ძევრის წმინდა გიორგის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივისმცემელთ მეუღლე სოფიო ივანეს ასული, დედ-მამა—ანუსია ელისეს ასული და მღვდელი ლავრენტი აქქსენტის ძე, ძმები განსვენებულისა მელქისედეკ, მატათა და ევსევია, და მღვდელი ბიძა ნესტორ როფაქიძეები. (2—3225—2)

ევგენი კერესელიძე, სოლომონ ყანჩელი, ლელო, გოგია, ვახტანგ, ელენე და იასონ კერესელიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა დაცნობთ გარდაცვალებას პირველი—რძლის, მეორე—დის და უკანასკნელნი—საყვარელის დედის

მარიამ კერესელიძისას.

21 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, სოფ. მეჯვრისხევიდან წაასვენებენ სოფ. ახრისში, სადაც იმავე დღეს, წირვისა და პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვენ. (2—355—1)

წლის წირვა და პანაშვიდი გადაცვალებულის

დარო ყანჩელის

სულის მოსახსენებლად მოხდება 21 ოქტომბერს სოფელ ახრისში, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებულის მეუღლე იოსებ ყანჩელი. (1—355—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი
დრამა 5 მოქ., გ. იბსენისა, თარგ. პოლუმორდვინოვისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი რეჟისორი ა. მესხი. დირექცია ამხანაგობისა.
მზადდება წარმოსადგენად: „იულიოს კეისარი“, „ახალი მოძღვრება“, „ღალატი“. (2—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. ი. ბაღდარაშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
გ. ტ. მუღლინი.—ყურისა, ყელის და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კაზოიძე.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი. ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. ბიდიკანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ზილიძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მ. მ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში შეკრებები მორიგებით. კრავატები დღეში დღის 1 მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეექვსე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 2. ბარჯღლის ქუჩიდან-კი 34 B.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა. სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—27)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი
ეღ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—18)

ექიმი
ქ. ნ. თითრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ხუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—18)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—296—11)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სნით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—8)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ოქტომბერი

მუკდენი (საკუთ. კორ.). 16 და 17 ოქტომბერს იაპონელთა დიდი ჯარი და ქარავანი აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. მტერი მთელ თავის ფრონტზე ამაგრებს პოზიციებს. 18 ოქტომბერს იაპონელები მძლავრად უშენდნენ ზარბაზნებს პუტილოვის გორას.

ვაშინგტონი. სახელმწიფო მდივანმა მიმართა სახელმწიფოებს ნოტით, რომელშიაც მოთავსებულია რუზველტის წინადადება ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ. ნოტაში ნათქვამია, კონფერენციამ უნდა განიხილოს ის საკითხები, რომელნიც პირველმა კონფერენციამ აღძრა და რომელთა განხილვა მეტად საჭიროა, და აგრეთვე აღნიშნულია გეგმა საზოგადო სამედიატორო ხელ-შეკრულებათა და ის აზრია გამოთქმული, რომ უნდა დაარსდეს საერთაშორისო სამედიატორო კონგრესი, რომელიც დრო-გამოშვებით უნდა იკრიბებოდეს საერთაშორისო მშვიდობიანობის დასაცველადაო. ნათქვამია აგრეთვე, სრული საფუძველი გვაქვს, ჰააგის მეორე კონფერენცია რუსეთ-იაპონიის ომის დროს მოვიწვიოთო. თუმცა ჯერ-ჯერობით მებრძოლთა შორის ზავის ჩამოგდება მოსალოდნელი არ არის, მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ხელი ავილოთ იმ საქმეზე, რომელმაც აქამდის ასეთი კეთილი ნაყოფი გამოიღო. ამერიკის ელჩებს ევალებათ კერძო თათბირები მოახდინონ და გამოარკვიონ, როგორ მონაწილეობას მიიღებენ ამ საქმეში ის მთავრობანი, რომლებთანაც ელჩები დღეს იმყოფიან. თათბირი გარკვეულ პროგრამის შესადგენად კი არ უნდა მოახდინონ ელჩებმა, არამედ უნდა ეცადნენ საზოგადოდ დაითანხმონ მთავრობანი.

ვიგო, 18 ოქტომბერი („ჰავასი“). რუსის ორი აფიცერი მადრიდს წავიდა.

ნაგასაკი, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). გუშინ მოჯის ნავთსადგურში იმ დროს, როცა ორთქლმავალ გემ „ჩიოდამარუ“-დან ნაღმი მიჰქონდათ, ეს ნაღმი აფეთქდა, მოჰკლა 10 კაცი და ბევრი დასჭრა. გემი ძლიერაა დაზიანებული.

ტოკიო, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). გემმა „ჩიოდამარუ“-მ იპოვა ჩიფუს ახლოს მცურავი ნაღმი და მოჯის მოიტანა. საკანონირო გემმა „იამატო“-მ ნავი გაგზავნა ამ ნაღმის წასაღებად. როცა ნაღმს ნავში სდებდნენ, აფეთქება მოხდა და ნავი ჩაიძირა. გემი „ჩიოდამარუ“ დაზიანებულია რამდენიმე კაცი დაჭრილია.—საზღვაო მოხელენი ურჩევენ სავაჭრო გემებს, პეჩილის ყურეში ნაღმებს გაუფრთხილდით, რადგან ღელვის დროს ნაღმები ლუზას სწყდებაო.

ლონდონი, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). ოკუს არმიიდან იუწყებიან, ორივე არმია ერმანეთის პირდაპირ დგასო. გუშინ-ღამ რუსებმა მძლავრად დაუშინეს ყუმბარები იაპონელთა მარცხენა ფრთას, მაგრამ მცირე ზარალი მიაყენეს. ზარბაზნებს დრო-გამოშვებით მთელ დღეს ესროდნენ. ორივე არმია გამოლაშქრებას აპირობს. ჯარი დღე და ღამ სანგრებშია. რუსები პროჟექტორებით სარგებლობენ.

სტამბოლი („კორ. ბიურო“). რუსულ წყაროდან იუწყებიან, საფუძველს მოკლებულია „მორნინგ პოსტ“-ის ცნობა იმის შესახებ, ვითომც რუსეთს შეკითხვით მიემართოს დიდ სახელმწიფოებისათვის, რა აზრისა ხართ იმის შესახებ, რომ სამხედრო გემებს დარდანელის გავლის ნება მიეცეთო.

მუკდენი, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). რამდენიმე დღის სიწყნარის შემდეგ, 17 ოქტომბერს, ღამე სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გაისმა დიდ ზარბაზნების გრიალი. სროლამ 18 ოქტომბრამდე გასტანა. სამხრეთ-აღმოსავლეთით იაპონელები მდინარე შახეს გავიდნენ. ამ კვირია მოელიან დიდ ბრძოლას.

ალჟირი, 17 ოქტომბერი („ჰავასი“). რუსის კონტრ-ნაღმიან გემებს „ბლესტიაშჩი“-ს, „ბოდრი“-ს და „ბეზუპრეჩნი“-ს ნახშირი აქაურ ვაჭრებისაგან მიაქვთ. 19 ოქტომბერს მოელიან ნაღმიან გემებს „ბედოვი“-ს, „ბუინის“, „ბისტრი“-ს და „ბრავი“-ს. ამათ თან ნახშირის გემები მოჰყვებიან.

19 ოქტომბერი

ჩიფუ, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). საერთო შტურმი პორტ-არტურისა 11 ოქტომბერს დაიწყო იაპონელთა თავდასხმით, რომელმაც მთელს დღეს გასტანა. ბრძოლა მეტად მწვავე და ცხარე იყო. როგორც სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, იაპონელებს დიდი ჯარით დაუწყიათ შტურმი. იაპონელები მთელ თვეს ემზადებოდნენ შტურმისთვის. ამბობენ, იაპონელებს იმედი არა აქვთ, რომ ერთბაშად აიღებენ ქალაქს, მაგრამ წინ-კი წაიწევენ. ეხლანდელი გეგმა შედეგია პირველ შტურმის გამოცდილებისა, რომლის დროსაც იაპონელებმა დიდი ხალხი შესწირეს და ფიქრობდნენ ციხის აღებას სიმრავლით. ეხლანდელი შტურმი, როგორც წინანდელი, მთელის კვირეებით მზადდებოდა: მართავდნენ შანცებს, სდგამდნენ ზარბაზნებს. სპეციალისტები ამბობენ, შტურმი შესწყდება იმ წამს, რამწამს იაპონელები დაიჭერენ საყურადღებო პოზიციებს, საიდანაც არტილერიის დახმარებით შეეძლებათ უფრო წინ წაწევაო. მოხდება ორი საერთო შტურმი იმ დრომდე, ვიდრე იაპონელები საკმაოდ მიუახლოვდებიან რუსებს. ამის შემდეგ იაპონელები ეცდებიან უმთავრესს სიმაგრეების აღებას და, ამ რიგად, ალყის გათავებას.

ლონდონი, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). დღეს გარეშე საქმეთა სამინისტროში მოხდა კაბინეტის სხდომა.

კელნი, 18 ოქტომბერი („ვოლფი“). პატრონი თევზის საჭერ გემის „ზონტაკ“-ისა, რომელსაც რუსის ესკადრამ ყუმბარები დაუშინა, უჩივის რუსის მთავრობას. გემის პატრონი რუსეთს ზარალს ედავება: როდესაც რუსებმა ყუმბარები დაგვიშინეს, გადაგდებული ბადე უდროოდ გამოვიტანეთ და ზარალი მოგვივიდაო.

მადრიდი, 18 ოქტომბერი („ჰავასი“). გარეშე საქმეთა მინისტრმა სთქვა, საერთაშორისო კომისიაში, რომელმაც გულის ინციდენტი უნდა განიხილოს, იქნებიან რუსის, ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის აფიცრები. კომისია ვიგოში შეიკრიბება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ოქტომბერი

ტანჟერი, 18 ოქტომბერი. კრეისერის „ავრორა“-ს მღვდელი ანასტასია, რომელსაც ხელი დაუშავდა მანქანისაგან, გადაიცვალა ტანჟერს საავადმყოფოში დაშავებულ ხელის მოჭრის შემდეგ.

ხუანჩანი, 18 ოქტომბერი. დილის 10 საათზე ზარბაზნების სროლა მთელ ფრონტზე არ შეწყვეტილა. გუშინ ცვლილება თითქმის არ მომხდარა. იაპონელებმა რამდენჯერმე გაისროლეს საალყო ზარბაზნები. ასეთი ზარბაზანი, როგორც ეტყობა, ორი იღებდა მონაწილეობას. ღამე სროლა გაძლიერდა, განსაკუთრებით ჩვენ მარჯვენა ფრთაზე. ცენტრში ღამის სამ საათზე იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს პოვოზკებს პუტილოვის სოპკის მახლობლად. ჩვენი არტილერია პასუხს აძლევდა. მთვარიან ღამის სიჩუმეს თითქმის განუწყვეტლივ არღვევდა ზარბაზნების გრიალი. ხან აქ, ხან იქ იღებდა ხოლმე ზარბაზანი. სროლა არც დღეს დილით შეწყვეტილა.

19 ოქტომბერი

მუკდენი, 18 ოქტომბერი. ჩვენმა მოხალისეთა კამანდამ შეავიწროვა იაპონელები, რომლებმაც 11½ საათზე საარტილერიო სროლა აუტეხეს ჩვენ მარჯვენა ფრთას და ღამის სამ საათამდის ისროდნენ. ამავე დროს იაპონელებმა მთვარიანის ღამით ისარგებლეს და ერთის პოლკით გამოილაშქრეს, სამჯერ მოიტანეს იერიში და სამჯერვე უკუქცეულ იქნენ.

ბერლინი, 18 ოქტომბერი. „ლოკალ ანცაიგერს“ აუწყებენ მუკდენიდან, ბრძოლის ველზე არავითარი ცვლილება არ მომხდარაო. არც ერთ არმიას უკან დახევა არ სურს, რადგან უკან დახევა საქმის წაგებას ნიშნავსო. ამგვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ყოველ წუთს შესაძლებელია, რომ ამა თუ იმ შემთხვევის გამო, იაპონიის არმიამ გამოილაშქროს. დიდი მოძრაობაა. ჯარებს სხვა-და-სხვა ადგილას ჰგზავნიანო. გედკე მუკდენიდან აუწყებს „ტაგებლატ“-ს: „გუშინ-ღამ აქ ზარბაზნების გრიალი ისმოდაო. დღეს სროლა შესუსტდა. იაპონელების თავდასხმას ელიან. ხმებია იაპონელებს პორტ-არტურიდან 1½ დივიზია მოუყვიდათო.

ჩიფუ, 18 ოქტომბერი („დეილი ტელეგრაფი“). თვითონ იაპონელები ამბობენ, რომ დღემდე ვერ მოვახერხეთ რვა უმთავრეს სამაგრის აღებაო. ეს სიმაგრეები ლიაოტეშანსა და აღმოსავლეთ სიმაგრეებს შუაა. არა ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჯავშნიანი გემი „იაშიმა“ დიდი ხანია დაღუპულიაო.

ლონდონი, 19 ოქტომბერი. იუწყებიან, რომ ინგლისის ასმა გემმა თავი მოიყარა პორტლანდშიო. საფუძველია ვიფიქროთ, რომ ჩრდილოეთ ზღვის ესკადრა პორტლანდში 28 ოქტობრამდე დარჩება. ესკადრამ წაიღო თან საჭირო ნახშირი და საბრძოლველადაც მზად არის.

ვიგო, 18 ოქტომბერი („დეილი მეილი“). რუსის ესკადრის ერთმა აფიცერმა სთქვა, რუსების თვალში სულ ერთი იქნება, რაც უნდა გადაწყვიტოს კონფერენციამ ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ინციდენტის გამო. ჩვენ ვიმეორებთ,—განაგრძო აფიცერმა,—რომ ჩრდილოეთ ზღვაში ჩვენზე იერიში მოიტანა ნაღმიანმა გემმა, რომელიც თავს იმალავდა მეთევზეთა ფლოტილიის წყალობით. პეტერბურგშიაც ჩვენი თანახმანი არიან და ჩვენ აზრს არ გამოიცვლით. რა თქმა უნდა, გვებრალებიან უდანაშაულოდ დაღუპულნი და მზადაც ვართ დავაჯილდოვოთ მეთევზენი, მაგრამ, რაც უნდა გადასწყვიტოს საერთაშორისო კომისიამ, რუსეთი არაფრის გულისთვის არ დაითანხმდება დასაჯოს ის აფიცრები, რომელთაც თავიანთი მოვალეობა აასრულესო.

პეტერბურგი. 19 ოქტომბერი. დაინიშნენ: პირველ მანჯურიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი მთავარ-სარდლის შტაბის უფროსად, აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა მერვე დივიზიის უფროსი გენერალ-მაიორი არტამონოვი—მე-54 დივიზიის უფროსად, ნოვოტორჟსკის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ჩაგინი—მეორე მანჯურიის არმიის ტრანსპორტთა უფროსად, ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარის უფროსის თანაშემწე კავალერიის გენერალი ფონ-დერ ლაუნიცი—მეორე მანჯურიის ჯარის უფროსის განკარგულებაში.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მართალია დიდი ბრძოლა არა ხდება ეხლა მანჯურიაში, მაგრამ დეპეშებიდან სჩანს, რომ ყოველ დღე მრავალი შეტაკება მოსდით მოწინავე რაზმებს და ბევრგან გაძლიერებული ზარბაზნის სროლაა. როგორც ვიცით, მარჯვენა ფრთაზე რუსის მოწინავე რაზმებს წინ წაუწევიათ და მდ. ხუნხეს პირად სოფ. ჩჟანტანამდე და სენდიაპუმდე ჩასულან (ეს სოფლები იანტაის გასწვრივაა); ამავე დროს იაპონელების მარჯვენა ფრთაც (გენ. კუროკის არმია) თან და თან წინ მიდის და გენ. ოკუსა და ნოძუს არმიების გასწვრივ იჭერს პოზიციებს. გენ. კუროპატკინი იწერება, იაპონელებს მაშველი ჯარი მოსდით სამხრეთიდან და ფინხუანჩენის გზით, ჯარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჰყავთ და, ეტყობა, იერიშის მისატანად ემზადებიანო.

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: თან და თან უფრო ცხადად სჩანს, რომ იაპონელები იერიშის მიტანას აპირობენ რუსის არმიაზე. ამ დღეებში სოფ. ერდაგოუსთან რუსის პოზიციას დაეცნენ. ეს იმის ნიშანია, რომ იაპონელები რუსებს აღარ დაუცდიან და ყველგან იერიშს მიიტანენ რუსის ჯარზე. („რ. ლ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ მუკდენიდან: ამ ჟამად რუსისა და იაპონიის ჯარს მდ. ხუნხეს ნაპირიდან კაოტულინის ულელტეხილამდე უჭირავს პოზიციებიო. („რ. ლ.“).

„რუს“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: 10 ოქტომბერს რუსებმა რკინის გზის პირად სოფ. ლამატუნსა და შალინძის ზარბაზანი დაუშინეს. სადგური შახე ისევ იაპონელების ხელშია. 10 ოქტომბრამდე არაფერი ცვლილება არ მომხდარა. იაპონელები ხან და ხან სულ არ ისვრიან ზარბაზანს: „ყუმბარა არა აქვთო“—ამბობენ ზოგნი; „იაპონელები სულ პორტ-არტურისაკენ წასულან. აქ მხოლოდ ცოტა ჯარი-ღა დაუტოვებიათ, ერთი რომ დავიძრათ, ხელად ავიღებთ ლიაოიანსაო“—ამბობენ სხვები. „იაპონელები რაღაცას აპირობენ“—უპასუხებს ფრთხილი და გამოცდილი ხალხი. ერთის სიტყვით, რუსებმა არაფერი არ იციან, რას აპირობენ იაპონელები. ორივე ჯარი 10 ოქტომბრამდე ერთმანეთის პირდაპირ იდგა და წინ აღარ მიდიოდა. რუსისა და იაპონელების სანგრებს შუა ზოგგან 600—800 ნაბიჯის მანძილი ძლივს იქნება. ჯარის დაზვერა შეუძლებელი გახდა. ვნახოთ, რა ამბები მოხდება მომავალში.

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იწერება მუკდენიდან: რუსებსაცა და იაპონელებსაც საზამთრო ბინები სჭირიათ. ეხლანდელ ბინებზე ჯარი დიდხანს ვერ გაძლებს. მალე უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდება და მაშინ გადასწყდება, ვინ სად დაბინავდება. ვინც გაიმარჯვებს, მუკდენშიაც ის დაბინავდება. („რ.“).

ინგლისელი აფიცერი ტომას მილიარდი რუსისა და იაპონიის ჯარის მოქმედებას არჩევს და, სხვათა შორის, ვაფანგოუს ბრძოლის თაობაზე სწერს: „ამ ბრძოლის დროს იაპონიის არტილერიამ ისახელა თავი, იმის მოქმედებას ქება არა სჭირია და თითქმის არაფერი წუნი არ დაედება“... „იაპონიის ქვეითა ჯარმაც ისახელა თავი. ერთი რაზმი ვაფანგოუსაკენ გაქანდა, გენ. შტაკელბერგის მარჯვენა ფრთას გვერდიდან შემოუარა, ბრძოლის რიგზე გამწკრივდა და რუსის ჯარზე ისეთი მედგარი იერიში მიიტანა, რომ გენ. შტაკელბერგმა ძლივს-ძლივობით გადაარჩინა თავისი ჯარი სრულ განადგურებას. რუსის კავალერიის რაზმს რომ არ დაენახა იაპონელები, ცუდი დღე დაადგებოდა

გენ. შტაკელბერგის კორპუსს. იაპონიის ქვეითა ჯარის მოქმედება ვაფანგოუსთან საუკეთესო ჯარს ასახელებდა“. („ნ. ვ.“)

დიდ ოკეანის მეორე ესკადრის შეტაკება ინგლისელ მეთევზეებთან. გემ „მადრი“-ს კაპიტანს პიკერს უამბნია „დეილი ტელეგრაფ“-ის თანამშრომლისათვის: 8 ოქტომბერს შუაღამისას ჩვენ ჩრდილოეთის ზღვაში ვიყავით. მთვარიანი ღამე იყო. წვრილი წვიმა ჰკრიდა და კარგა მანძილზე არა ჩანდა-რა. გემის ხიდზე ვიდექ; უცებ სინათლე დავინახე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ცოტა არ იყოს, გავოცდი და ბეჯითად დავაკვირდი. სინათლე თან და თან გვიახლოვდებოდა. საიდუმლო გემები პირდაპირ ჩვენკენ მოდიოდნენ. როცა ჩვენ თითქმის სულ ზედ მოგვადგა, პირველმა გემმა სიგნალი მისცა უკანა გემს. როგორც მერე გავიგეთ, პირველი გემი ადმირალისა იყო თურმე, მეორე კონტრ-ადმირალისა. სულ 40 გემი დავთვალე ტრანსპორტებიანად. კონტრ-ადმირალის გემმა რამდენჯერმე მისცა საპასუხო სიგნალი ადმირალისას და მთელმა ესკადრამ პროჟექტორებით გაანათა ჩვენი ფლოტილია,—თვალი მოგვჭრა ყველას. ისეთი ძლიერი შუქი მოგვაყენეს, რომ ჩვენი მატროსები თავიანთ ბადეებით ლამაზად გამოჩნდნენ. ჩემი გემი „მადრიე“ მილ ნახევრის მანძილზე იდგა ესკადრიდან; ერთმა მატროსმა გემ „კრენ“-ზე ხუმრობით წყვილი დიდრონი პალტუსი (თევზია) ასწია მაღლა და დაიყვირა: „თევზი ხომ არა გნებავთო“. ამ დროს პროჟექტორი ამ გემსა და მატროსს აშუქებდა, შევნიშნე, რომ ესკადრამ ძლიერ უკლო სიარულს და ჩემ შტურმანსაც ვუთხარ ეს. ამის შემდეგ ულაპარაკოდ, სულ მოულოდნელად რამდენმამე გემმა მსწრაფლ მსროლელი ზარბაზნები დაგვიშინეს. ესკადრა სულ გაჩერდა და კრეისერებმა რიგრიგად ზარბაზნები დაუშინეს ჩვენს წვრილ გემებს. გემ „კრენ“-ს რამდენიმე ყუმბარა მოჰხვდა და ძლიერ დაზიანდა. ერთი ყუმბარა ორ კაცს მოჰხვდა პალუბაზე და თავები მოჰგლიჯა. ეს ორი კაცი იყო: კაპიტანი ჯორჯსმიტი და შტურმანა ტომი სმიტი. „კრენ“-ზე 9 კაცი იყო და ცხრანივე დასჰქრეს. საბედნიეროდ, გემი „გულ“-ი ახლო იდგა, მოეშველა და კაპიტნისა, შტურმანისა და ექვსის მატროსის გვამები თავის პალუბაზე გადაიტანა. ერთს მატროსს ხელები მოსწყვიტა ყუმბარამ, მეორეს გულში გაურბინა ყუმბარის ნატეხმა. დაჭრილებმა დიდხანს ეძებეს მეცხრე მატროსი, მაგრამ ვერ იპოვეს: ალბად, ყუმბარამ მოჰკლა და ბორტს იქით გადავარდა. მოკლული და დაჭრილები გემ „სარა-მაილს“-ზე გადაიტანეს. ბოლოს „კრენ“-ი მთელის ჩვენის ფლოტილიის თვალ წინ ჩაიძირა. ჩვენი მეზღვაურები საშინლად აღელდნენ. ესკადრა 20 წამს განუწყვეტლივ ისროდა ზარბაზნებს. ჩვენ გემებსაც ჰხვდებოდა ყუმბარა. ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ესკადრამ კარგად მოგვანათა პროჟექტორები და ჩვენი მატროსები და ბადეები კარგად დაინახა. ჩვენც საერთაშორისო კანონათ დადგენილ თეთრ, წითელ და მწვანე სინათლის სიგნალებს ვაძლევდით. ამიტომ შეცდომა შეუძლებელი იყო. ნახევარ საათის სროლის შემდეგ, ადმირალის გემმა სიგნალი მისცა და ესკადრა გაქანებული წავიდა. 4, თუ 5 ჩვენი გემი, თავის მეზღვაურებით სულ გაქრა. ეტყობა, რუსის ადმირალს ჩვენი გემები იაპონელების გემებად მოეჩვენა და სროლა დაგვიწყო, მერე მიჰხვდა თავის შეცდომას და ესკადრა სამხრეთისაკენ გააქანა. ასეა თუ ისე, უსათუოდ ნავები უნდა გაეგზავნა დაღუპულ მეზღვაურების გადასარჩენად. („რ. ვ.“).

ამ საქმის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. სწერს: დიდ ოკეანის მეორე ესკადრას ჩრდილოეთის ზღვაში სამწუხარო ამბავი გადაჰხდა, ინგლისელ მეთევზეების გემებს შეჰხვდა გზაში და ზარბაზანი დაუშინა. სანამ ვიცე-ადმირალ როჟესტვენსკის მოხსენებას გამოაცხადებენ, გადაწყვეტით ვერას ვიტყვით ამ სამწუხარო საქმეზე, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ამ მეთევზეებში იაპონელების ნავები, ან ნაღმიანი გემები ყოფილიყვნენ დამალული. ამისთანა საქმეს იაპონელები არას დროს არ იქმონენ. ამ ომშა ცხადად დაამტკიცა, რომ ზღვაში მიმავალ გემს გასრიალილი ნაღმი თითქმის არას დროს არა ჰხვდება; გემების წინ მცურავ ნაღმის გაფანტვაც სულ ტყუილი საქმეა, რადგან ესკადრის გემები ადვილად ამჩნევენ ზღვაში მცურავ ნაღმებს; ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ იაპონელები ინგლისელ მეთევზეებში ჩამდგარიყვნენ და მოულოდნელად რუსის ესკადრას დასცემოდნენ. იაპონელებმა კარგად იციან, რომ ამით მშვიდობიან მეთევზეებს დიდ ხათაბალაში გაჰხვევდნენ, თავიანთ მოკავშირე ინგლისს გააჯავრებდნენ და მთელ განათლებულ ქვეყნიერობას აალელებდნენ. („ნ. ვ.“).

ადმირალმა როჟესტვენსკიმ ოფიციალურად მოახსენა რუსეთის მთავრობას, ორი ნაღმიანი გემი იერიშით წამოვიდა ესკადრისაკენ და ჩვენც ზარბაზანი დავუშინეთ, ერთი ჩავძირეთ და მეორე გაგვექცაო. საზღვარგარეთ ბევრს არა სჯერა ეს ცნობა.

დეპეშებიდან ვიცით, ეს საქმე ჰააგის კომისიას გადაეცა გასარჩევად და იქ გამოირკვევა, როგორ იყო საქმე, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი.

პორტ-არტური. იაპონელებმა 17 ივლისს აიღეს მგლის გორები, თითონ პორტ-არტურის ციხეს მიადგნენ და სრული სამი თვეა, რაც ციხის აღებას უნდებიან. ასეთი მაგარი და თანამედროვე ტეხნიკის დაგვარად გამაგრებული ციხე ჯერ არავის აუღია. ომამდეც კარგად იყო გამაგრებული და რაკი ომი დაიწყო, რუსებმა უფრო ძლიერ გაამაგრეს და დიდძალი სამხედრო და საკვები სურსათი ჩაზიდეს პორტ-არტურში. ამას გარდა, პორტ-არტურის ციხეს ხმელეთიდან მეტად ვიწრო მისავალი აქვს და ეს უფრო უჭირვებს საქმეს იაპონელებს. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ს. კ. სწერს: მართალია გენ. სტესელი და გენ. კონდრატენკო მეტად მარჯვედა და მედგრად უხვდებიან იაპონელებს, მაგრამ იაპონელებს ის უფრო უჭირვებთ საქმეს, რომ პორტ-არტური ზღვის პირად დევს და ზღვიდან შტურმის მიტანა შეუძლებელია. იაპონელები ფლოტს უფრთხილდებიან და რუსის სანაპირო ბატარეებს არიდებენ. რუსებმა იციან, რომ ციხეს ზღვიდან შიში არა აქვს და მთელი მეციხოვნე ჯარი ხმელეთის მხრიდან მოქმედებს, იქ უხვდება იაპონელებს. ხმელეთიდან ციხეს სულ 20 ვერსტის განი აქვს და რუსებს თითო ვერსტის სიგძეზე 1,700 კაცი უყენიათ, როდესაც ერთის ვერსტის დასაცველად 1,500 კაციც კმარა...

ამას გარდა იაპონელები ნელ-ნელა, თანდათან უახლოვდებიან ციხის ფორტებს, მეტ მსხვერპლს ერიდებიან.

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიას:

29 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე მოკლულ იქმნენ: პოდპოლკოვნიკი—სუხოტინი, შტაბს-კაპიტანი—ნეპრიახინი, პორუჩიკი—მორევი, პოდპორუჩიკები—ვაკულენკო და კუზმინი.

დაიჭრნენ: გენერალ-მაიორი—ფონ-ლაიმინგი; პოლკოვნიკები—ვასილიევი, პონომარევი და კრაევსკი, პოდპოლკოვნიკები—ნაზარიევი, თავ. მასალსკი, ტარლო, რატაისკი, ივანოვი; კაპიტნები—პისარევსკი, იაცინი, კუკულსკი, პეზობრაზოვი, ლუკინი, პ. კუკოლსკი, პროზოროვსკი, ანდრეევი, ბუჩკოვსკი, რუდნევი, ტროშინი, გოლიკოვი, ფედოროვი და გრიგორიევი; შტაბს-კაპიტნები—ოსოსკო, მასლოვი, გოლოლობოვი, ბობროვი, ოჩეროვი, ივანოვი, სკვორონსკი კრივოვი, როსისკი და რუბანი; პორუჩიკები—ივანოვი, ზოტონსკი, მატიასევიჩი, ანდრეევი, კ. ფეოკტისტოვი, ნ. ფეოკტისტოვი და ბარსკოვი; პოდპორუჩიკები—ჩუვილდინი, შჩუროვი, კოზლოვი, კრიუკოვსკი, ივანოვი, გერტელი, სოროკინი, ვ. სმირნოვი, ა. სმირნოვი, ა. მალიანოვსკი, ს. მალიანოვსკი, კოროლკოვი, სერგიროგი, ბორევიჩი, ლუკანინი, პოროკინი, მანგულ-მანგოლდი, ვოზდვიჟენსკი, კოტოვიჩი, რაგოზინი, შჩეტინინი, გნიშევსკი, პოპოვი და ქოლონტკოვსკი; პრაპორშიკები და ზაურიად პრაპორშჩიკები—დიტცი, მურავიოვი, შკრედი, ივანოვი, ბოგაროვი, გვოზდევი, ბურლინი, კაჩერგინი და მალოდზენოვსკი.

ბრძოლის ველზე დარჩნენ: კაპიტნები—კონდრატოვიჩი და პრჟეზდეცკი; პორუჩიკი—ნიკოლაევი, პოდპორუჩიკი—ფომინი და პრაპორშჩიკი კარპოვი.

ახალი ამბავი

◆ ოფიციალურის ცნობებით, 16 ოქტომბერს ბაქოში **ხოლერით ავად გამხდარა** 3 კაცი. ბალახანში ავად გამხდარა 7 კაცი, გარდაცვლილა 4. შემახის მაზრის სოფელ გიურჯივანში 15 ოქტომბრამდე ავად გამხდარა სულ 5 კაცი. ერევნის გუბერნიაში 16 ოქტომბრამდე 15 ხოლერიანი ყოფილა, აქედან 4 გარდაცვლილა.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, განსვენებულმა ნ. ე. ზუბალაშვილმა დიდი ფული დასტოვა ტფილისის **ღარიბთა თავშესაფარის** გასამართავად. ეს მეორე წელიწადია შენობას აგებენ, მაგრამ დასრულება მაინც არ ეღირსა. ეხლა თავშესაფარის ამგებ კომისიას ფული შემოჰკლებია. 18 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გაჰყიდოს ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევი ფასიანი ქაღალდების ერთი ბილეთი (25,000 მან.) და ფული გადასცეს კომისიას შენობის დასამთავრებლად.

◆ როგორც საჩხერიდან გვატყობინებენ, ზემო იმერეთში **წელს ღვინის მოსავალს** არა უშავდა-რა. ეს პირველია ამ 8 წლის განმავლობაში ღვინის ცოტად თუ ბევრად გვარიანი მოსავალი. განსაკუთრებით უხვად მოსვლიათ ღვინო იმათ, ვინც ამერიკული ვაზი გააშენა და უწამლა.

◆ 2 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრომ, როგორც გავიგეთ, **დაამტკიცა წესდება** ახალ საზოგადოებისა, რომელიც ბათუმში არსდება. საზოგადოებამ თავის გარდაცვალებულ წევრთა ოჯახებს დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

◆ დღეს, 20 ოქტომბრისთვის, სახაზინო თეატრში **ქართული წარმოდგენაა** დანიშნული. წარმოადგენენ იბსენის „ხალხის მტერს“. ამ წარმოდგენაში მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

◆ თელავის მაზრის უფროსმა შემდეგი მოსაზრებანი წარუდგინა გუბერნატორს ამ მაზრის **ვოლოსტებად დაყოფის** შესახებ: დაყოფის დროს უმთავრესად ყურადღება მიიაქციეს სასოფლო-სამეურნეო ნაწილს და მიწის უმთავრეს მნიშვნელობას. თელავის მაზრა ტოპოგრაფიულად ყველაზე ძლიერ ხელს უწყობს ვოლოსტებად დაყოფას. დიდი მთები და ღრმა მდინარეები არ არის ამ მაზრაში. მდინარე ალაზანი ჰყოფს მაზრას ორ ნაწილად, რისდა მიხედვითაც გამოირჩია ორი საპოლიციო ვოლოსტი ყვარლისა და წინანდლისა, სრულიად დამოუკიდებელნი. ცოტა წინანდლის მჭიდროდ დასახლებულ საბოქაულოში ვერ მოხდა დანაწილება და მთლიან ვოლოსტად დარჩა. აგრეთვე ოსებისა და ხევსურთა სოფლები არ იქმნა ქცეული ცალკე სოფლის საზოგადოებად, რადგან ყველა ესენი დროებით მოიჯარადრეები არიან კერძო მესაკუთრეთა მიწებზე. სრულიად შეუცვლელად დარჩა აგრეთვე ყვარელის საბოქაულო, რომლის პირდაპირ ვოლოსტად გადაქცევას, ახალის პროექტით, არაფერი ხელს არ უშლისო.

◆ დღეს, 20 ოქტომბერს, ტფილისის რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი **საექსკურსიოდ მიდიან** სანაინში. მოსწავლენი, სხვათა შორის, დაათვალიერებენ ადგილობრივ ქარხანას. დღესვე ქუთაისიდან ბათუმსა და ჩაქვას საექსკურსიოდ მიდიან ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლენი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **სახელმწიფო კონტროლში** მომავალ წლიდან შტატს ადიდებენ; იხსნება უმცროს მოსამსახურეთა ახალი თანამდებობანი.

◆ როგორც **პირაქეთ ხევსურეთიდან** გვატყობინებენ, ხახმატის, როშკის და ბაცალიგოს და ბარისახოს სოფლის საზოგადოებაში წელს რიგიანი მოსავალი ყოფილა.

◆ 23 ნოემბრისთვის ბაქოში დანიშნულია **ნავთის მწარმოებელთა მე-19 კრება.**

◆ 19 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან იმიერ ბაიკალის გზაზე გაჰგზავნეს ოცი ზეინკალი.

◆ ტფილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოში ორშაბათს, 18 ოქტომბერს, ექიმებმა შეამოწმეს ჯარში გასაყვანი ებრაელნი, სულ 12 კაცი. ამ 12 კაციდან ყველა ჯანმრთელი აღმოჩნდა. გუშინ, 19 ოქტომბერს, ექიმებმა დაიწყეს ქრისტიან უმაწვილ-კაცთა ჯანმრთელობის შემოწმება, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა.

◆ ამ სამოსწავლო წლიდან ს. გომის (ქართლი) ერთ-კლასიანი სკოლა დაიხურა. ახლად არსდება ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა სოფ. აგარაში (ქართლი). ადგილი ამ სკოლისათვის უსასყიდლოდ დაუთმია ადგილობრივ მემამულეს სვიმონ გვერწითელს.

◆ სოფელს ავჭალაში ეს 6 წელიწადია არსებობს სამრევლო-საეკლესიო სკოლა. 17 ოქტომბერს ავჭალაში სოფლის ყრილობა მოხდა. ყრილობამ მოისმინა მიწერილობა საეპარქიო საბჭოსი. საბჭო სწერდა, თუ სოფელი არ იკისრებს სკოლისთვის შენობის დაქირავებას, განათებას და მოსამსახურის დაჭერას, იძულებულნი ვიქნებით სკოლა დავკეტოთ და სხვა ადგილას გადავიტანოთო. ყრილობამ შეადგინა ოქმი საეპარქიო საბჭოში წარსადგენად. ყრილობა სწერს, რომ გაჭირვებულნი ვართ და არ შეგვიძლიან ფულის გაღებაო.

◆ ბათუმი. 17 ოქტომბერს ბათუმიდან უნდა გაეგზავნათ დამნაშავე ნოე რამიშვილი. პატიმარს ახლდა ორი დარაჯი, მაგრამ რამიშვილი როგორღაც ხელიდან გაუსხლტათ და გაიქცა. სასტიკი ზომებია მიღებული გაქცეულის შესაპყრობად.

◆ ბორჩალოს მაზრაში ამ თვის პირველიდან თხუთმეტამდის შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. კურტანის მცხოვრები ახალგაზდა კაცი ატამ ხაჩატუროვი გაუფთხილებლობის გამო ჩავარდნილა მდინარე გერგერ-ჩაიში და დამხრჩვალა; გვამი ჯერაც ვერ უპოვიათ; 2. ს. სადახლოს მცხოვრებნი იზბაშ-ნასიბ-ოღლი და ეფენდი-მოლლა-აბდულ-ოღლი თ-დ მელიქოვის მეველეებს მოუსწრიათ ყურძნის პარვის დროს და ამტყდარა თოფის სროლა, რომლის დროსაც მეორე თათარი მეველეებს სასიკვდილოდ დაუჭრიათ გულში; 3. სოფ. ვარანცოვკაში 55 წლის კაცი ი. მიკირტუმოვი შესულა აბანოში, როცა უბანავნია და გამოსულა, წამოწოლილა ტახტზე და იქვე მომკვდარა. 4. სოფ. ილმაზლოში ჯუჯაკენდ-ისმაილ-ბეკ-ოღლის ილმაზლელი სასიკვდილოდ დაუჭრია თოფით; 5. სოფ. იმირის მცხოვრები ასან-ყაზუმ-ოღლი ამხანაგებთან ერთად შესულა თ-დ მუხრან-ბატონის ვენახში ყურძნის საპარავად და როდესაც მებაღეებს სოფ. გრულის (თელ. მაზრა) მცხოვრებს ლაზარე ერვაშვილს და სოფ. სამშვილდოს მცხოვრებს დანიელ დანელოვს დაენახათ ქურდები, გამოსდგომოდნენ; ქურდებს თოფის სროლა აეტეხათ და ორთავე მებაღე იქვე მოეკლათ; 6. სოფ. ყუსამლოს მცხოვრებმა ალლახ-ყული-ახმედ-ოღლიმ სასიკვდილოდ დასჭრა თავისი ძმა ალახვერდი; 7. სოფ. მუღანლოს მცხოვრებლებმა ჰასან და მამედ-ნური-ოღლებმა საფეთქელში მძიმედ დასჭრეს თ-დ მუხრან-ბატონის მოურავი თ-დი კონსტანტინე ციციშვილი.

◆ სადეიბიტა. 19 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მოვიდა აქ საფოსტო მატარებელი № 4. როგორც უფროსმა კონდუქტორმა ლორთქიფანიძემ და მემანქანემ სოლოვიევმა განაცხადეს, მე-778 ვერსზე უნახავთ ვიღაც კაცის გვამი, რისთვისაც მატარებელი შეუჩერებიათ.

◆ 18 ოქტომბერს, ღამე, ოლგას ქუჩაზე, ცაბაძის სასმელების დუქანში შეპარულან ტფილისის მოქალაქენი ალექსანდრე ოქრუაშვილი და ისააკ გამყრელიძე, აუნთიათ სანთლები და ის იყო შესდგომიან დუქანში ნადავლის წყობას, რომ გაუგიათ ეს ამბავი წილოსანის მეეზოვეს და პოლიციელს. პოლიციელთ ქურდები იქვე დაუპატიმრებიათ. გამყრელიძეს თან აღმოუჩენია ყუთების გასატეხი იარაღი.

◆ შორაპანი. 17 ოქტომბერს რკინის გზის მე-137 ვერსზე ლიანდაგის დარაჯს ამბაკო სეფისკვერაძეს და იმის ძმას პართენ სეფისკვერაძეს ლაპარაკი მოუვიდათ, რომლის დროსაც თოფი დაარტყა პართენ სეფისკვერაძემ ამბაკო სეფისკვერაძეს და დააშავა. დაშავებული ხაშურის საავადმყოფოში გაგზავნეს. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ 18 ოქტომბერს აბანოს ქუჩაზედ ახალ ბაიაზეთის მცხოვრების მიხეილ ამბარცუმოვისთვის ორ ჯიბგირს მოუჭრიათ ჯიბე, რომელშიაც ჰქონია 50 მან. 30 კაპ. ქურდები იმ საღამოსვე ჩამსხდარან ეტლში და ორთაჭალისაკენ წასულან. ქურდებს პოლიციელები დაედევნენ და ორივენ დაიჭირეს. ქურდები აღმოჩნდნენ არტემ ოსკანოვი, გიგო ჯანყულოვი და ჯალალ-ალიფკერ-ოღლი.

ფელეტონი

ორი გაზეთის აზრი

რუსეთის საშინაო საქმეების შესახებ.

თავ. სვიატოპოლკ-მირსკის მინისტრად დანიშვნამ და იმისმა სიტყვებმა ნდობის შესახებ მთელი რუსეთი აალაპარაკა. მოწინავე საზოგადოებასა და პრესსას გული იმედებით აევსო და, ცოტა არ იყოს, დიდის ხნით შეხუთულ ფრთების გაშლასაც შეუდგა. „პრესსა“-ში ჩვენ მკითხველებს თითქმის ყოველ დღე ვუზიარებთ ხოლმე ამა თუ იმ გაზეთის აზრს დღევანდელ საშინაო საქმეების შესახებ. ამ ჟამად ვბეჭდავთ ორის გაზეთის წერილს იმავე საგანზე. ერთი ეკუთვნის „პრავო“-ს, მეორე „რუს. ვედომოსტი“-ს. მოგვყავს ჯერ პირველ გაზეთის წერილი.

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება მაღალ კედელს მიადგა. იმ გზით სიარული, რა გზითაც აქამდე მიდიოდა, შეუძლებელი შეიქნა და, აი, ამ გაჭირვების დროს საშინაო პოლიტიკას ცვლილება დაეტყო. ახალ მინისტრთან ერთად, სჩანს, „ახალი ხანაც“ იწყება. კარს მოგვადგა „ახალი კურსი“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თავისი პროგრამა ასე დახასიათა სამინისტროს მოხელეთა მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში: „მთავრობის შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია იმ გულწრფელ ნდობაზე, რომლითაც იგი მოეპყრობა საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებებს, საზოგადოდ,—მცხოვრებთ. მხოლოდ ასეთ ნდობის შემდეგ არის მოსალოდნელი სასარგებლო ნაყოფი სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში“.

უცხოელ პრესსის ერთ წარმომადგენელთან საუბრის დროს თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ გამოსთქვა თავისი აზრი პრესსის შესახებ. მინისტრს შესაძლებლად არ მიაჩნია პრესსას „აბსოლიუტური თავისუფლება“ მიეცეს, მაგრამ ნდობა-კი უნდა გამოეცხადოსო. პრესსას შეძლება უნდა მიეცეს საჯაროდ და გულწრფელად გამოსთქვას თავისი აზრი მცხოვრებთა მოთხოვნილებასაჭიროების და მთავრობის მოღვაწეობა-მოქმედების შესახებაო.

ნდობა მოვალედ ჰხდის კაცს. და თუ პრესსა ჰგრძნობს, რა დიდი მოვალეობა აწევს, რა დიდ საქმისთვის არის მოწოდებული, ხალხის ცხოვრების გასაჭირ წუთებში მას არ შეეძლიან, უფლება არა აქვს დადუმდეს, გაჩუმდეს.

იმედებმა არავინ არ უნდა გაიტაცოს. ჩვენ ჯერ ჯერობით „ახალ ხ. ხის“ ზღურბლზე ვდგევართ. ახალ ხანას ვიგემებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტყვიდან საქმეზე გადავალთ.

რუსის საზოგადოებას წინადაც გაუგონია კარგი სიტყვები. ვის არ ახსოვს სიტყვები, წარმოთქმული განსვენებულ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ სამინისტროს ასი წლის იუბილეს დროს? განა ცოტა რამ ითქვა ხალხის ძალთა ზრდის და მართვა-გამგეობის გაუმჯობესების შესახებ! სთქვეს ისიც, რომ საჭიროა ადგილობრივ კაცთა მონაწილეობა ადგილობრივ მართვა-გამგეობის საქმეებში, რომ შეუძლებელია ბიუროკრატიულ ნიადაგზე საგლეხო რეფორმა და სხვა.

ასე ამბობდნენ, საქმით-კი სულ სხვას აკეთებდნენ: მართვა-გამგეობის საშუალებათა გაუმჯობესების ნაცვლად დააარსეს ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა მთავარი გამგეობა; ადგილობრივ კაცთა მოწვევისა და მონაწილეობის ნაცვლად მოახდინეს ერობების ტენდენციოზური რევიზიები და სრულიად გააუქმეს ტვერის ერობა; ხალხის საქმეში ჩარევის ნაცვლად შეჰქმნეს კომისიები გუბერნატორების მიერ დანიშნულ „კეთილ საიმედო“ კაცთაგან!..

პოლიტიკური პროგრამა, რომელიც საზოგადოებისადმი გულწრფელ ნდობაზე დაემყარება, პირდაპირი უარისყოფა იქნება უკანასკნელ ათიოდ წლების პოლიტიკისა. ეს პოლიტიკა თავით ბოლომდე ერთას იდეით არის გაჟღენთილი, ხოლო ეს იდეა შედეგია რუსის საზოგადოების მიმართ უნდობლობისა.

გაიხსენეთ დებულება გაძლიერებულ დაცვის, ადმინისტრატიულ წესით გაძევნის და საპოლიციო ზედამხედველობის შესახებ,—დებულება, რომლითაც დაიწყო მძიმე და აუტანელი ხანა მეოთხმოცე წლებისა. განა შეიძლება ამაზე მეტად პიროვნების [illegible] უფლებების არად ჩაგდება? გაიხსენეთ სულ ახალი კანონმდებლობა პრესსის შესახებ, წესები, რომელმაც უიმისოდაც მისუსტებულ და დადუმებულ რუსის პრესსას სრულიად „ენა მოჰკვეთა“. რით აიხსნება, თუ არ უნდობლობით უთვალავი დამატება სამოსამართლო წესდებებისა, რომელთა წყალობითაც სასამართლოდან სრულიად განდევნილია სახალხო ელემენტი? ან რით აიხსნება 1884 წლის საუნივერსიტეტო წესდება, რომელმაც მეცნიერება პოლიციას დაუმორჩილა?

ყველამ იცის რა უნდობლობით, რა სწავლა-განათლების შიშით არის მოცული ამ უკანასკნელ წლების სახალხო-სასკოლო პოლიტიკა. განა საფიქრებელია ევროპის რომელსამე სახელმწიფოში ის უთვალავი დებულებანი და წესები სახალხო სკოლებისა, საზოგადო წიგნთ-საცავებისა, სახალხო სამკითხველოებისა და საჯარო კითხვების შესახებ, რომლებიც რუსეთშია? განა საზოგადოებისადმი უნდობლობაზე არ არის აგებული სისტემა ადმინისტრატიულ [illegible] გლეხებისა და თვითმმართველობისა? ვინც ცოტად მაინც იცნობს საერობო საქმის ისტორიას რუსეთში, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ მთლად ეს ისტორია დაუსრულებელი მარტიროლოგიაა. 1890 წლის საერობო დებულებამ და 1892 წლის საქალაქო დებულებამ სრულიად შეზღუდეს ჩვენში ახლად ფეხ ადგმული თვით-მმართველობა, და თუ ამან ბოლო ვერ მოუღო ერობასა და ქალაქის თვითმმართველობას, ეს ბიუროკრატიის ბრალი სულაც არ არის: ბიუროკრატიის აზრით, ერობა უნდა გაუქმებულიყო და ერობის სახელით საქმეები უნდა ეწარმოებინა გუბერნატორს. მას აქეთ დღემდე ერობა ბიუროკრატიის დაბალ დობედ გადაიქცა და ნიშანში ამოღებულს ერობას მოსვენებას ადარ აძლევენ. კანონი კანონს მოსდევს, ცირკულიარი ცირკულიარს და ყველა ამით ზღუდავ და ავიწროვებენ ერობის უფლებებს, აცოტავებ იმის ბიუჯეტს და მთელ დაწესებულებას გუბ ნატორის სათარეშო მოედნად ჰხდიან. ფიქსაც შესახებ კანონმა, გამოსაკრებ თანხების რეფორ მამ, სამკურნალოების წესდებამ, საბეითალო კ ნონმა (რომლის გამოცემებაც ვერ მოხერხდა),— ყველა ამან და მრავალმა სხვამ ნათლად დაამტკიცა ბიუროკრატიის სრული გონებრივი და ზნეობრივი კოტრობა.

ამ პირობებში საზოგადოებისადმი ნდობის პოლიტიკამ მართლაც ახალი ხანა უნდა შექმნას რუსეთის ისტორიაში. ამ პოლიტიკამ თავი უნდა მიანებოს—გადაჭრით და გაბედულად—ბიუროკრატიულ ტრადიციებს; ძირიან-ფესვიანად უნდა ამოგლიჯოს უსარგებლო ბალახ-ბულახი, ბიუროკრატიის მიერ რუსის ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული. საჭიროა საზოგადოება დაუბრუნდეს იმ განიერ და თავისუფალ გზას, რომელსაც დაადგა მე-60 წლებში და რომლიდანაც, დამფრთხალმა და შეშინებულმა, განზე გადაუხვია და სიბნელესა და წყვდიადს შეაფარა თავი. ერთ-ერთი უნდა იყოს—ან ნდობა ან უნდობლობა. „Demifiance est méfiance“,— როგორც ფრანგები ამბობენ. თუ მთავრობა ენ-

◆ ტფილისის მაზრის სოფელ ტაგლიას მცხოვრებმა მამად-ალი-მირ-ალი-ოღლიმ განაცხადა პოლიციის მე-6 ნაწილში, რომ მე სოფლიდან ჩამოვედი ჩამოვხტი ერთ ჩემ ნათესავ მაშადი-სადიხ-უსტა-ოღლითან, თათართა სასაფლაოს ქუჩაზედაო. ღამე [illegible] ქურდს ამოუცლია ქისა, რომელშიაც 700 [illegible]ანია. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს სახლის [illegible]ონსა და იმის ნათესავებზე.

◆ 25 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრების კარაპეტ პოლოსოვისა, რომელსაც თავის ცოლის მარიამის მოკვლა ჰბრალდება.

◆ დ ა რ კ ვ ე თ ი (ქიათურის შტო). 17 ოქტომბერს, როდესაც სახალხო მატარებელი № 341 სადგურიდან დაიძრა, ვაგონს შეხტა მგზავრი ერმილე კვიჟინაძე, რომელსაც ფეხი აუცდა და ვაგონებს შუა ჩავარდა. მარჯვენა ფეხი ძლიერ დაეჩეჩქა და თვითონაც ძლიერ დაშავდა. დაშავებული ქიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ სად. ბ ა ქ ო. 18 ოქტომბერს, როდესაც საბუნჩიდან მომავალი სახალხო მატარებელი სადგურს დაუახლოვდა, მე-36 ვერსზე დაეწია ლიანდაგზე მიმავალ დედაკაცს მართა ბელოვას და ორი წლის ბავშვს სუხოვას და იქვე გასრისა. მათი გვამი საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ტფილისის პროფესიონალურ დედათა სასწავლებლის ხატვა-ხაზვის მასწავლებლად დაინიშნა მარიამ სულხანიშვილისა.

ქალაქის საქმეები

18 ოქტომბერი.

საბჭოს ეს სხდომა საქალაქო სკოლების გამგეთა „ბენეფისი“ იყო...

სკოლების გამგე კომისიამ დაუნახავს ზოგი ნაკლი საქალაქო სკოლებისა და ამ ნაკლთა მოსასპობად გამოუნახავს უებარი ღონისძიება: სკოლის მსახურს ჯამაგირს კომისიის საქმის მწარმოებელი უნდა აძლევდეს და არა სკოლის გამგე; გარდა ამისა მსახური უთუოდ მამრობით სქესის უნდა იყოს და არა მდედრობითისო. როგორც თ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, ერთი დიდი რეფორმის შემოღება ნდომებია კომისიის ზოგ წევრს, სახელდობრ საგანგებო ლიფრეის შემოღება მსახურთათვის, მაგრამ ბოლოს უარუყვიათ ეს წინადადება.

ქალაქის თავის მოადგილე და ზოგი ხმოსანი უნდო თვალით შეხვდნენ რაჩვენებ ღონის ძიების უებრობას. ხანგრძლივი, ცხარე და დაუსრულებელი კამათი გაიმართა და ბოლოს კომისია გამოვიდა გამარჯვებული და დაკანონდა, რომ სკოლის სისუფთავისა და ქონების მეთვალყურე მამრობით სქესის მსახური იქნეს, ამ მსახურის სახელი და გვარი ჩაიწეროს საგანგებო დავთარში და ჯამაგირი საქმის მწარმოებელმა აძლიოს. არ ვიცი, ღირდა კი ამდენ აურზაურად ეს „საკითხი“, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სკოლის გამგეთა ზნეობრივი და მატერიალური მდგომარეობა დამარცხებული გამოვიდა ამ სხდომიდან: ურმე ახალთაობის სწავლება და აღზრდა შეიძლება ენდოს კაცს და მსახურის დაქირავება და ჯამაგირის ძლევა ისეთი მძიმე და პასუხსაგები ყოფილა, რომ უთუოდ უნდა ჩამოერთვას გამგეს. ეს ერთი; მეორეც ის არის, რომ აქამდე სკოლის გამგეს მსახური ეძლეოდა, ეხლა კი ეს უფლება ჩამოერთვა. არა მგონია, რომ მასწავლებლის მატერიალურ მდგომარეობის გაცუდება სასკოლო საქმეს საკეთილოდ გამოადგეს. ამიტომაც იყო, რომ გამგეობამ ითხოვა—თითო თუმანი მოვუმატოთ გამგის ჯამაგირსაო, მაგრამ ხმოსნებმა ეს არ ისურვეს.

არსებობს ქუჩების მოკირწვლის მეთვალყურე კომისია; ყოველ აღმასრულებელ კომისიას, ქალაქის დებულების 103 და 104 მუხლის ძალით, მიენდობა „უახლოესი გამგეობა“ საქმისა, მაგრამ ნამდვილად კი ისე გამოდის, რომ თავისით ერთი ნაბიჯიც ვერ გადაუდგამს. ხსენებულ კომისიისათვის საბჭოს ინსტრუქცია შეუდგენია, მაგრამ იგი საკრებულოს არ დაუმტკიცებია: კომისიის თავმჯდომარის ამხანაგის არჩევის უფლება არა აქვსო, თუმცა, როგორც ხმ. ფლორენსკიმ ახსნა, ამას არც დებულება თხოულობს და ძალიან ხელის შემშლელიც იქმნება: არ მიაპოვება ისეთი ხმოსანი, რომ დაუბრკოლებლად ყოველთვის შეეძლოს კომისიის თავმჯდომარეობის გაწევა და რაკი ამხანაგი არ ეყოლება, მის მაგიერობის გამწევი, კომისია ძალაუნებურად გულ-ხელ დაკრეფილი უნდა იყოს.

საბჭომ დაადგინა საკრებულოს გადაწყვეტილების განსაჩივრება.

ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულებამ დიდი მადლობა გამოიწვია ხმოსნების მხრივ და ხანგრძლივის ტაშის ცემა მოჰყვა შემოწირულების ამბის წაკითხვას. მადლობელმა საბჭომ დაადგინა: საგანგებო დეპუტაციამ მადლობა გამოუცხადოს გულუხვ შემომწირველებს, ერთ-ერთ ქუჩას ზუბალაშვილის ქუჩა დაერქვას, მომავალ საავადმყოფოს განსვენებულ სტ. ზუბალაშვილის სახელი ეწოდოს და საავადმყოფოში დაიკიდოს მისივე პორტრეტი.

პრესსა

„კიევლ.“-ში წერილია დასტამბული რუსეთში ადმინისტრატიულ „აპეკის“, მზრუნველობის შესახებ. მოგვყავს ამ წერილიდან საყურადღებო ადგილები:

რუსეთში არსებული „აპეკა“ მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს, დააბრკოლა ხალხის წარმოება, საზოგადოებრივ ძალთა განვითარება. მაგარიც ის არის, რომ ამ „აპეკის“ საშუალებით მაინც ვერ მიაღწიეს საწადელს. მაგალითად, რუსეთის მრეწველობის მფარველობამ ვერ გააიაფა ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები და მხოლოდ მწარმოებლები გაამდიდრა, ჯიბე გაუსქელა, მომხმარებელი კი, ამ ნაწარმოებთა მყიდველი—მშრალზე დასტოვა. ნუ თუ ეს მიზანი ჰქონდათ სახეში რუსეთის მრეწველობის მფარველთ? მზრუნველობა-მფარველობას უწევენ რუსეთში მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას და ამის მიუხედავათ მართლ-მადიდებლობისაგან განდგომილთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ბეჭდვითი სიტყვის მფარველობამ ფეხ-ქვეშ ნიადაგი გამოაცალა პრესსას, არ მისცა საშუალება რუსეთის ცხოვრების ფრიად-საყურადღებო მოვლენათა შესახებ გამოეთქვა თავისი აზრი, იმ დროს, როცა თავისუფალი მსჯელობა მხოლოდ ხელს შეუწყობდა ამა თუ იმ საყურადღებო საკითხთა მშვიდობიანად გადაწყვეტას. მეცნიერების „აპეკას“ ოფიციალურ მეცნიერებასთან ერთად გამოიწვია არა-ოფიციალური მეცნიერება. სკოლის „მფარველობამ“ თვით ამ სკოლაშივე განხეთქილება გამოიწვია. რუსეთის მკვიდრთა მფარველობამ მამულების შეძენის საქმეში გაამრავლა მხოლოდ მამულებით მოვაჭრე ხალხი, იმ პირთა რიცხვი, რომელნიც მამულს მხოლოდ იმიტომ იძენენ, რომ შემდეგ უფრო ძვირად გაჰყიდონ და ამ სპეკულიაციის წყალობით ადვილად გამდიდრდნენ. წოდებათა მფარველობამ თავად-აზნაურობასაც ვერ შესძინა ყოფილი ძლიერება, გლეხების მდგომარეობაც ვერ გააუმჯობესა.

დასასრულ წერილის ავტორი ამბობს, რომ ყველასათვის ცხადია ამ სამწუხარო მოვლენის, ყოველნაირ მფარველობის შედეგიო. ყველამ შეიგნო, რომ არა მფარველობით, არამედ საზოგადოებრივ თვით-მოქმედებით ეშველება საქმეს. თავისუფალი შეგნება თავისი მდგომარეობისა და თავისუფალი, დამოუკიდებელი მოქმედება ერთადერთი საშუალებაა ხალხის განვითარებისთვისო.

* *
*

ქ. გომელში სასამართლოს სესსია შეუდგა ებრაელებზე თავდასხმის შესახებ საქმის განხილვას, გაზ. „რუს“-ის თანამშრომელს მოჰყავს ბრალდების ოქმიდან საინტერესო ადგილები და თავის აზრს გამოსთქვამს ამ ოქმის შემადგენელთა შესახებ.

პირველად ბრალდების ოქმში მოყვანილია ის ამბები, რომელიც მოხდა ებრაელებზე თავდასხმის წინ. ოქმის შემადგენელი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ებრაელებს ბრძოლის მადა ჰქონდათ აშლილი, სამხედრო [illegible]უნებაზე იყვნენ და მეტად თავხედად იქცეოდნენო. მოყვანილია შემდეგ თავდასხმის წინ ბაზარში მომხდარი ჩხუბი და ის აზრია გამოთქმული, რომ საზოგადოდ მთელ ამ მომხდარ უწესოებისათვის ებრაელებმა უნდა აგონ პასუხი, რადგან მათი მიზეზით იყო გამოწვეულიო.

„რუს“-ის თანამშრომელი ამბობს, მთელი ეს ბრალდების ოქმი ცალ-მხრივად, წინასწარ განზრახვით არის შედგენილიო, და ოქმიდან ამოღებულ შემდეგ ადგილებით ასაბუთებს თავის აზრს:

1 სექტემბერს გომელში სიწყნარე იყო. უეცრად გაისმა ქარხნის საყვირის ხმა და მუშების მთელმა ბრბომ მოიყარა თავი ებრაელებზე თავდასასხმელად. პოლიციმეისტერი მოვიდა ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ ხალხი ლანძღვა-გინებით დაუხვდა და შეუდგა ებრაელთა სახლების დარბევას. ებრაელებმაც მოიყარეს თავი და მისცვივნენ ხალხს. გამოწვეული ჯარი ორად უნდა გაყოფილიყო: ერთი რაზმი ებრაელების წინააღმდეგ მოქმედებდა, მეორე კი—მუშების წინააღმდეგ. ყველა ეს ქალაქის შუაგულ ალაგას მოხდა, ქალაქის განაპირა ადგილებში კი გაშმაგებულმა ხალხმა დაარბია ღარიბ ებრაელთა ქოხმახები.

ამ უწესოების ჩაქრობის დროს ორივე მხარე ერთნაირად დაზარალდა,—ნათქვამია ბრალდების ოქმი,—ერთნაირი იყო დაჭრილ და დაშავებულ მართლმადიდებელთა და ებრაელთა რიცხვი. ხალხმა დაარბია ებრაელთა 250 კერძო სახლი და დუქანიო.

მომხდარ ამბების აწერის დროს,—ამბობს წერილის ავტორი,—ბრალდების ოქმის შემადგენელი განსაკუთრებით აღნიშნავს ებრაელთა თავგასულობას, იმათ თავხედობას, არა-ებრაელთ-კი მფარველობას უწევს, უფრო ლმობიერად ეკიდებაო, იმ დროს, რაც იმავე ოქმში შემდეგი ამბავია მოყვანილი.

როცა პოლიციმეისტერი ამშვიდებდა ებრაელების წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხს, ეს ხალხი შემდეგის სიტყვებით ლანძღავდა პოლიციმეისტერს: „გასწი აქედან, ჩვენო გამცემელო, ურიების ხახამო!“ მაშინ პოლიციმეისტერმა სალდათების როტის უფროსს მიმართა და დახმარება სთხოვა. როტის უფროსმა, კაპიტანმა არხაროვმა, სცადა ხალხის დამშვიდება, მაგრამ ვერაფერს გახდა და როტას უბრძანა, იარაღით მისეოდა ხალხს. ამას გარდა სხვა ადგილებშიაც მოხდა ხალხისა და ჯარის შეტაკება.

ყველა ამ ჩამოთვლილ ამბების შემდეგ, ამბობს „რუს“-ის თანამშრომელი, ბრალდების ოქმში ნათქვამია, რომ რუსებს არ გაუწევიათ წინააღმდეგობა ჯარისათვის, პოლიციის მოთხოვნილებას ასრულებდნენ იქ, სადაც ჯარი იდგა, ებრაელების სახლები არ დაურბევიათო. ებრაელები-კი ძალიან გაშმაგებულნი იყვნენ და ჯარს რევოლვერებსა და ქვებს ესროდნენო.

ბოლოს „რუს“-ის თანამშრომელი შემდეგ დასკვნას დაადგება: „რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ ბრალდების ოქმს და ვის უნდა აუხვიოს თვალი ნამდვილად მომხდარის გადამახინჯებითაო“.

სასამართლო

უწესოება

14—18 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე განჯის გუბერნიის მცხოვრებთა სერგო ბაგირიანცისა, კარაპეტ მიკირტიჩიანცისა, კარაპეტ ოვანესიანცისა, კარაპეტ ტერ-ხახარიანცისა, აკოფ მიკირტიჩევისა და სხვათა, სულ 40 კაცისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ 29 აგვისტოს 1903 წელს წინასწარ განზრახვით სხვებთან ერთად განჯაში უწესოებათა მოხდენა და წინააღმდეგობის გაწევა პოლიციის მოხელეებისა და განსაკუთრებულ კომისიისთვის, როცა ეს უკანასკნელი სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო ქონებას იბარებდა. პალატამ ეს საქმე ხალხის დაუსწრებლად გაარჩია. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები მ. ო. გრუზენბერგი, ტ. იონესიანცი, ხომენტკოვსკი, ლ. ანდრონიკაშვილი, ხატისოვი და ხერატუროვი. განჯის ოლქის სასამართლოს 40 ბრალდებულთაგან 18 უდანაშაულოდ უცვნია. დანარჩენ 22 კაცისთვის გადაუწყვეტია: მარტიროზ ალაჯანოვისა, გრიგოლ მანუშაკოვისა, სიმონ აკოფოვისა, არშაკ პოლოსოვისა და ოჰანეზ ბადალოვისათვის—ექვს-ექვსი თვით საპყრობილეში დაპატიმრება; კარაპეტ ტერ-ხახარიანცისა, სამ. ჯამგაროვისა, ალექ. ყორღანოვისა, სეროპ კრიკოროვისა, მეჩ. მარტიროსოვისა, კ. მურადოვისა და ყაზარ არაქელოვისათვის—ოთხ-ოთხის თვით. ხოლო ოვ. ბარსამოვისა და კარაპეტ ოვანესიანცისათვის—ორ-ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. სასამართლომ პოლიციასთან დაპატიმრება გადაუწყვიტა 2 კვირით ა. ბალასანოვს, სიმ. მურადოვს, ივ. ტუმანიანცს, ხორ. ოღანეზოვს და საავ პირვერდიევს და ერთის თვით გუკას მირზაიანცს, ოვან. არუსტამოვს და კარაპეტ მიკირტიჩიანცს. პალატაში საქმე გადმოუტანია განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს. სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია აგრეთვე თვით ბრალდებულთ. სასამართლო პალატაში საქმის გარჩევამ გასტანა 18 ოქტომბრამდე. პალატამ 12 საათის თათბირის შემდეგ გუშინ, 19 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე, გამოაცხადა განაჩენი: 9 გამართლებულ ბრალდებულის შესახებ დაამტკიცა, ხოლო დანარჩენ 31 კაცის შესახებ გააუქმა, დამნაშავედ იცნო ისინი და გადაუწყვიტა ს. ბოგირიანცს, კ. ოღანესოვს, კ. ტერ-ხახარიანცს, მორ. ალაჯანოვს, სამ. იაევს, ს. აკოფოვს, ს. ჯამგაროვს, ს. კრიკოროვს, ალ. ყორღანოვს, ს. მანველოვს, არ. პოლოსოვს, ო. ბადალოვს, გ. სარქისოვს, ოღ. ბარსამოვს, მ. მარტიროსოვს, კ. მურადოვს, ა. ბალასანოვს, გ. არაქელოვს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 9 მათგანს 10 თვით, ხოლო ათს—8 თვით ვადით თითოს. დანარჩენ ბრალდებულთაგან ღირსების ჩამოურთმევლად პალატამ საპატიმროში დაპატიმრება მიუსაჯა კ. ბეჟანოვს, მ. ნადირიანცს, ს. მურადოვს, ს. პრივერდიევს, ლ. აგაიანცს და პ. გამუზოვს 6 თვით თითოს, ოჰანეს არისტამოვს 4 თვით, ხოლო კ. მიკირტიჩიანცს, ა. ჯამგაროვს და გ. მირზაიანცს 2 თვითა და 20 დღით და პოლიციასთან დაპატიმრება ივ. თუმანიანცს და ზ. ოჰანეზოვს თითოს 1 თვითა და 15 დღით. ამ უკანასკნელ 12 ბრალდებულის შესახებ, რომელთაც საპატიმროში და პოლიციასთან დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი, პალატამ სახეში მიიღო უმაღლესი მანიფესტი და დაადგინა, ისინი სრულიად განთავისუფლებულ იქმნენ სასჯელისაგან. ბრალდებულნი არ დასთანხმდნენ პალატის განაჩენს და გადასწყვიტეს განასაჩივრონ იგი სენატში.

რუსეთის ქრონიკა

◆ ვარშავის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია გენერალ-გუბერნატორის ჩერტკოვის დადგენილება იმის შესახებ, რომ აკრძალულია ქ. ვარშავასა, ლოძსა, ჩენსტოხოვსა და ტომაშევში, ვარშავისა და ბენდინის მაზრებში დანების, ხანჯლების, საცერულების და სხვა იარაღის ტარება. ამ წესის დამრღვევთ 500 მანეთამდე ჯარიმა ან სამ თვემდე დაპატიმრება მოელით. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ზემო აღნიშნული დადგენილება პოლონეთის სხვა-და-სხვა ალაგას მომხდარმა უწესოებამ გამოიწვიაო.

◆ ვარშავაში ამას წინად გაზეთების რეპორტიორებმა, რომელნიც ახალ ამბებს აწვდიან გაზეთებს, ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთის, „ვარშ. დნევ.“-ის რედაქტორს უჩივლეს ობერ. პოლიციმეისტერთან, რაც პოლიციას ახალი ამბები მოსდის ქალაქში მომხდარ სხვა-და-სხვა შემთხვევათა შესახებ, თვითონ იღებს ხელში, რედაქციებს უგზავნის, სასყიდელს იღებს და ჩვენ კი მშრალზე გვტოვებსო. „ვარშ. დნევნ.“-ის რედაქტორი იმავე დროს ობერ. პოლიცმეისტერთან მსახურებს თურმე განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელედ. ობერ. პოლიცმეისტერს დაუბარებია ეს „ჩვენი დროის რაინდი“, გაუკიცხავს და უბრძანებია, ახალ ამბებზე ხელი აეღო.

წერილები

ფოთი. უმთავრესმა საიმპერიო სანავთსადგურო დაწესებულებამ ნება დართო, დაკმაყოფილებულ იქმნას ფოთის ქალაქის საბჭოს მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქს საერთო სანავთ-სადგურო შემოსავლიდან 1905 წელს შემწეობა მიეცეს ყველა იმ ხარჯის დასაკმაყოფილებლად, რომელიც საჭიროა ქალაქისა და ნავთ-სადგურის მოსაწყობად.

პირვილის ცირკის სეზონი, რომელიც აგერ ერთ თვეზე მეტსართობდა ჩვენს საზოგადოებას, უკანასკნელად საქველ-მოქმედო მიზნით გამართულ თამაშით გათავდა. ითამაშეს მომავალ ვაჟთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ, რომლის ნახევრად აშენებული შენობა სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო შეჩერებულია. შემოვიდა 255 მანეთი.

არ იქმნა და არ შესწყდა ჩვენს ქალაქში ძარცვა-გლეჯა. ოთხი ქურდი ამ დღეებში შეიპყრო ბოქაულმა არ. ბერიძემ ორი ქურდი, რომელთაც კვერკვველიას ქალისათვის ძროხა მოეპარათ და დაეკლათ, ბოქაულმა ალ. მელაძემ დაიჭირა, მაგრამ ამით მაინც არავინ შეშინებულა და ავი ქურდები ისევ ჩვეულებრივად განაგრძობენ თავის საქმეს. 12 ამ თვეს გაქურდეს მედუქნე თ. ხელაია, რომელსაც 15 თუმანი, საათი, ნაბადი და სხვა ნივთები წაართვეს. ქურდებს მედუქნეც თან წაუყვანიათ და უკან მხოლოდ მაშინ გამოუშვიათ, როცა ქალაქ გარედ რამდენისამე ვერსის სიშორეზე გასულან. ხელაიას გამქურდველნი, გარდა სამისა, როგორც სჩანს, სხვებიც ყოფილან, რომელთაგან ორი უკვე შეიპყრო პოლიციამ. ცამეტ ამ თვეს რკინის გზის სადგურზე ჟანდარმებმა შეიპყრეს ორი სპარსელი, რომელნიც ყალბ ოქროს ხუთ მანეთიანს ახურდავებდნენ ბილეთის ყიდვის დროს კასაში. გაჩხრეკის დროს ყალბ ფულების გამკეთებელთ პატარა ტოპრაკებით ბევრი სხვა ყალბი ხუთ-მანეთიანი აღმოაჩნდათ.

ამას წინად ერთი ახალგაზრდა ებრაელი რიონში გადავარდა და თავს იღრჩობდა იმისთვის, რომ სატრფომ ჩემ სიყვარულს უარი უთხრა და გამწირაო. ეხლა კიდევ, 15 ოქტომბერს, სიყვარულით შეპყრობილი პოლიციელი, ნაშუაღამევის 2 საათზე, შევარდა ადგილობრივ სიროსკიპო სახლში, გაშმაგებულმა ჯერ რევოლვერით მოჰკლა იქ მყოფი თავისი სატრფო ლ. ჩებიცკაია და თვითონ დაიცა ტყვია მკერდში. მიზეზი ამ საოცარ მოქმედებისა, როგორც თვით მკვლელმა ნ. ცომაიამ აღიარა, სიყვარული ყოფილა. ცომაიას უთხოვნია, ცოლად გამომყევიო. ამაზე რომ უარი მიუღია, გადაუწყვეტია თავის სატრფოსთან ერთად სიკვდილი. **ს.**

—

ქ. გორი. არ მოელო ბოლო აქაურ ჩარჩ-ვაჭრების თავგასულობას და თარეშობას გორის საქალაქო სასწორზედ. თუმცა გორის ბაზარს ჰყავს თავისი მეთვალ-ყურე, რომელიც მოვალეა თვალ ყური ადევნოს ვაჭრების მოქმედებას, მაგრამ გორის წვრილი მოვაჭრეები თავისას არ იშლიან. ერთ კვირა დღეს მე თვითონ ვნახე ერთმა ვაჭარმა როგორ გამოიტანა სასწორზე ერთი გოდორი აყროლებული გელაქნურები და და თავისუფლად გაასაღა ხალხზე. ახლო რომ მისულიყავი, ცხვირზე ხელი უნდა მოგეჭირათ, ისეთი სიმყრალე იდგა სასწორთან. გარდა ამისა, ვაჭრებს ნება არა აქვთ შუადღემდის ვაჭრობისა საქალაქო მოედანზე, მაგრამ შემოვა თუ არა სოფლებიდან რაიმე სანოვაგე, მიესევიან გლეხს, გააბრუებენ ბევრის ლაპარაკით და იგდებენ ხელში გლეხის სანოვაგეს მეოთხედ ფასად და იქვე სასწორზედვე ჰყიდიან ამავე საქონელს ღარიბ ხალხზე ერთი-ორად. ეს გარემოება საბუთიანად აღელვებს გორის მცხოვრებთ, მაგრამ არ იციან, ვის მიჰმართონ, რომ მოთარეშე ვაჭრების თავგასულობას ბოლო მოუღონ. **გორელი.**

—

ს. თამაკონი (სამეგრელო). როგორც უკვე ვწერდით, აქ ქურდობა ძალიან გახშირდა. მაგრამ ქურდობა რა არის საზარელ თავდასხმასთან, რაც პირველი არ არის ამ საზოგადოებაში. სხვათა შორის, ამ თვის პირველს, ღამე, ოჯახში ათი შეიარაღებული კაცი შეუვარდა ადგილობრივ მღვდელს ი. ჯავახიას. წაიღეს 150 მან. ფული და ნივთები, მასთან მღვდელი და დიასახლისი დასჭრეს. ხმაურობაზე ხალხი ბლომად შეიკრიბა, მაგრამ შიშით ახლოს ვერ მივიდნენ, რადგან ბოროტ-განზრახველნი თოფებს ისროდნენ. **ტეხურის-პირელი.**

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

19 ოქტომბერი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. მოსკოვი-კურსკის გზის მოსკოვის სადგურზე აკურთხეს ამ გზის ხელოსანთაგან მოწყობილი სამი სამხედრო-სასანიტარო მატარებელი. შორეულ აღმოსავლეთიდან მოსულ ექიმ გინდმანის სიტყვით, ხარბინში სცდილობენ ჩქარა დააბინაონ დაჭრილები და მგზავრობა კარგად მოუწყონ.

ლონდონი, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსეთსა და ინგლისს შუა განსაკუთრებული კონვენცია მოხდება საერთაშორისო გამომძიებელ კომისიის დასანიშნავად და იმ ფაქტების გამოსარკვევად, რომლებმაც ჩრდილოეთ-ზღვაში მომხდარი ამბავი გამოიწვიეს. დაწვრილებით იქნება გამორკვეული კომისიის გამოძიების წეს-რიგი, ამ კომისიის უფლებანი და განსაკუთრებით ის, თუ რა გზას უნდა დაადგეს კომისსია საბოლოო დასკვნის შესადგენად. იმედი აქვთ, რომ კონვენციას მოკლე ხანში მოაწერენ ხელს. კომისსიის წევრებად იქნებიან სანეიტრალო სახელმწიფოთა სასამართლოების მაღალ ხარისხის მოხელეები და მონაწილეობას მიიღებენ საზღვაო საქმის სპეციალისტები. როცა გულსა და ვიგოში რუსეთისა და ინგლისის მოხელეები ამ საქმის გამოძიებას დაასრულებენ, ამ ორ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი წარსდგებიან საერთაშორისო კომისიის წინაშე, განმარტავენ საქმეს და, როცა ეს საჭირო იქნება, წარმოადგენენ მოწმეებს ჩვენების ჩამოსართმევად. ჯერ-ჯერობით დანიშნული არ არის ის ადგილი, სადაც კომისსია შეიკრიბება.

ალჟირი, 18 ოქტომბერი („ჰავას სააგ“). ტანჟერიდან დღისით მოვიდნენ კონტრ-ნაღმიანი გემი — „ბედოვი“, „ბარავი“ და „ბისტრი“, მიიღეს სურსათი და ნახშირი და ელოდებიან ბრძანებას.

...დობა საზოგადოებას, უნდა მიანიჭოს რუსის პრესსას სიტყვის თავისუფლება, ერობას—მოქმედების თავისუფლება. მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს პოლიციის ძალ-მომრეობისაგან რუსის მოქალაქის პიროვნება. თუ უკანასკნელ წლების ...ნმდებლობა, ყველა ეს „დროებითი წესები“, ...რბურგის კანცელარიებში დამზადებული, ...აადმდეგებიან „ნდობის პოლიტიკას“, მა-კანონმდებლობაც და წესებიც, რაც შეიძლება ჩქარა, სამუდამოდ გაუქმებულ და დავიწყებულ უნდა იქნან. დროებითი წესები, განსაზღვრულ ეპოქის ნაყოფი, იყო და „ახალ ხანაში“ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

მაგრამ „ნდობის პოლიტიკა“ არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ მესამოცე წლებს დაუბრუნდეს. მესამოცე წლებზე გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ არა მარტო ინიციატორებს 1864 წლის საერობო რეფორმისა—ნ. ა. მილიუტინს და გრაფ ლანსკოის, არამედ მთავრობასაც საერობო დაწესებულებები მხოლოდ პირველ ნაბიჯად მიაჩნდა საერთო რეფორმისა. ამავე აზრისა იყო ახლად შემდგარი ერობა და პრესსა. ჯერ ისევ 1865 წელს პეტერბურგის ერობამ ლაპარაკი ჩამოაგდო მთავარ საერობო ორგანოს დაარსებაზე. ამ ორგანოს უნდა განეგო საერობო გადასახადთა საქმეები. 1867 წელს პეტერბურგისავე ერობამ მოითხოვა, ერობას საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის უფლება მიეცესო. 1878 წელს ესევე აზრი, ამასთან უფრო გადაჭრით, გამოსთქვეს სხვა საერობო კრებებმა (ხარკოვის, ჩერნიგოვის, ტვერის და სხვებმა). არც რუსის საზოგადოება იყო ჩამორჩენილი და ეს, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ საზოგადოება სიხარულით მიეგება ლორის-მელიქოვის რეფორმებს: უგზავნიდა ადრესებს და აღტაცებით ულოცავდა ახალ საქმის დაწყებას. მესამოცდა ათე წლების მიწურულში ნოვგოროდის, ყაზანისა და რიაზანის ერობათა შუამდგომლობანი, გაბედული წერილები „პორიადოკა“-სი, „სტრანა“-სი, „გოლოსი“-სა და სხვებისა ნათლად მოწმობენ, რომ რუსის საზოგადოება საჭიროდ სცნობდა ძირითად რეფორმებს.

ასეთია ფაქტები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა „ნდობის პოლიტიკამ“ ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტებს. განა ეჭვია, რომ რუსის საზოგადოება ეხლაც, როგორც წინად, სიტყვის თქმის ნება რომ ჰქონდეს, გულწრფელად და რწმენით აღიარებდა ძირითად რეფორმების საჭიროებას. გაიხსენეთ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა კომიტეტების ისტორია. ყველამ ეჭვის თვალით შეხედა ბიუროკრატიის დაწესებულებას; ყველა თხოულობდა სახალხო ელემენტის მონაწილეობას საკანონმდებლო მუშაობაში. დღეს, უკანასკნელ ორ თვეს, ცოტა მოეშო ის მუხრუჭი, რომელიც პრესსას სულს უხუთავდა, და აბა ყური დაუგდეთ, განა არა თხოულობს ეს პრესსა რუსეთის განახლებას? „ჩვენ რეფორმები-კი არა, რეფორმა გვინდაო!“—აი ის სიტყვა, რომელშიაც გარკვევით გამოთქმულია საზოგადოების სურვილი და წადილი.

და განა შესაძლებელია სხვა რამე?

თვით უპირველესი თაყვანისმცემელი ბიუროკრატიისა ვერ გაბედავს და ვერ იტყვის, რომ ბიუროკრატიამ შესძლო რუსეთის ძნელ და რთულ საქმეების გაძღოლა, რომ მან წინ წასწია სახელმწიფო ქონებრივად და გონებრივად და უზრუნველ ჰყო შინაური მშვიდობიანობა და საერთაშორისო საქმეები... თვით ბიუროკრატიის წრეშიაც დღეს ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ბიუროკრატია ვერ გაუძღვება, ვერ შესძლებს საგლეხო რეფორმას, სახალხო განათლების და სხვა ძირითად საკითხების გადაწყვეტას. განა უკანასკნელმა წლებმა არ დაამტკიცეს, რომ შეუძლებელია განმარტოებით, კარ-ჩაკეტილად ადგილობრივ რეფორმის მოხდენა? ვინ არ იცის, რომ ადგილობრივი თვით-მმართველობა შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე ცენტრალურ მმართველობას ბიუროკრატიული ხასიათი აქვს.

თუ ასეა, არც-კი უნდა ვიფიქროთ უკან დახევა და მესამოცე წლებისკენ დაბრუნება. უკან-კი არა, წინ უნდა წავიდეთ. თვალები არ უნდა დავხუჭოთ და საქმის სიდიდის გამო შიში არ უნდა მივეცეთ. ბიუროკრატიზმს დღეს ყოვლის მხრით მტრები ახვევია. ისტორია არ დაივიწყებს იმ სახელმწიფო მოღვაწის სახელს, რომელიც, განსაცდელის მიუხედავად, ძლიერის ხელით გამოიყვანს სახელმწიფო ხომალდს. მაგრამ მგზავრობის დროს ამ სახელმწიფო მოღვაწემ უნდა იცოდეს, რომ უსათუოდ საჭიროა ახალ ნავსაყუდარის მოძებნა; დღე ახსოვდეს, რომ დიდ ოკეანეს ესკადრა პორტ-არტურში არ უნდა დაბრუნებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჟერი, 18 ოქტომბერი („აჟვას სააგ.“). მაროკელებმა ნება მისცეს ნავებს დაეხმარნენ რუსებს ნახშირის დატვირთვის დროს.

პეტერბურგი. მანჯურიის I არმიის ველის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი დაინიშნა იაპონელებთან მებრძოლ ხმელეთისა და ზღვის ჯარების მთავარ სარდლის შტაბის უფროსად.

ჩიფუ, 18 ოქტომბერი. („რეიტერი“). იაპონელები კარგად მოემზადნენ და 11 ოქტომბერს მძლავრად დაუშინეს ყუმბარები პორტ-არტურსა და ნავთსადგურს. რუსებმა პასუხი გასცეს. 13 ოქტომბრის შუადღემდის გამწვავებული ზარბაზნების სროლა იყო. 13 ოქტომბერს შუადღისას კი რუსებმა დროებით შესწყვიტეს ზარბაზნების სროლა იტუშანსა და ერლუნშანიდან. ნაშუადღევს 4 საათზე იაპონელთა ერთი პოლკი წინ წამოვიდა ერლუნშანის ახლოს მათ მიერ აღებულ გორიდან, იერიში მიიტანა რუსების სანგრებზე ერლუნშანსა და რკინის გზის შუა და ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ეს სანგრები. რუსები მედგრად იბრძოდნენ. როცა რუს-იაპონელები ერთმანეთს რამდენიმე მეტრის მანძილზე აიუახლოვდნენ, ყუმბარები ესროლეს ერთმანეთს. იაპონელთა ქვეითა ჯარი ამისათვის პატარა მანქანებს ხმარობდა და ამ მაანქანების საშუალებით ძლიერ ჩქარა ისროდა ყუმბარებს. ამავე დროს იაპონელთა მეორე რაზმმა იერიში მიიტანა სანგრებზე ერლუნშანის ფერდოზე, სადაც იაპონელებს თხრილები აქვთ, მათი მოწინავე სადარაჯოების ახლოს. უკან დაწევის დროს რუსებმა სროლა ასტეხეს ლიაოტეშანის ზარბაზნებიდან და ღამე ციხიდან გამოვიდნენ, მაგრამ იაპონელებმა ტყვიის მტყორცხნელები დაუშინეს და უკუაქციეს რუსები. გემებიდან ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა. შედეგი ჯერ-ჯერობით არ იციან. 16 ოქტომბერს დიდი ბრძოლა იყო ერლუშანის და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის შუა. ნიურ-ჩუანიდან მოსული გემი იუწყება, რომ გუშინ-ღამ და დღეს პორტ-არტურთან ძლიერი ზარბაზნების სროლა გაიგონა.

მუკდენი, 18 ოქტომბერი. „რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი, რუსის შუალა არმიასთან მყოფი, იტყობინება, რომ იაპონელთა წინსვლას იმ ადგილას, სადაც ვაკე უერთდება გორებს, სერიოზული ხასიათი აქვს. რუსები ენერგიულად დაუახლოვდნენ იაპონელებს, ასე რომ ბრძოლა ამ ადგილას ერთობ საშიში და საყურადღებო ხდება. რუსებსა და იაპონელებს შუა 500 მეტრი მანძილია. ორი არმია უახლოვდება ერთმანეთს, თითქოს საალყოდ ემზადებაო. იაპონელებმა იმით გადაუხადეს რუსებს პუტილოვის გორასთან დამარცხება, რომ წაართვეს რუსებს მეორე სოპკა, შახედან სამხრეთისაკენ, ფინეიპუს პირდაპირ. მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა 14 ოქტომბერს ბრძოლის დროს თავისი ჯარის 60% დაჰკარგეს, იაპონელების ქვეითა ჯარმა მხოლოდ ღამე მოახერხა რუსების უკუქცევა. აიღეს თუ არა პოზიცია იაპონელებმა, მაშინვე დასტოვეს. ყოველ ღამე ხდება შეტაკებები. თოფებისა და ზარბაზნების სროლა არ სწყდება. იაპონელებს მოუვიდათ მაშველი ჯარი, რიცხვით 1½ დივიზია, პორტ-არტურიდან გამოგზავნილი. რამოდენიმე დღის შემდეგ უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდება. ყოველი მოქმედება ერთ რომელიმე არმიაში იწვევს მეორე არმიის ამგვარსავე მოქმედებას. დასავლეთით მდებარე სოფლებიდან მცხოვრებლები მირბიან, მუკდენში თავმოყრილი შეშინებული ხალხი კი თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდა და ვიწროობა აღარ არის.

ჩიფუ, 18 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსის ტყვეები სხვა და სხვა ნაირ ცნობებს იძლევიან პორტ-არტურის შესახებ და მხოლოდ ერთში ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ იმედი ყველას შესამჩნევად დაეკარგა, რადგანაც სტესელი ციხის დამცველთა გასამხნევებლად ხშირად ეუბნება, ბალტიის ფლოტი ჩქარა მოვაო და აგრეთვე იმასაც, რომ კუროპატკინი გაფანტავს ალყად შემორტყმულ იაპონელებსაო, იმედების გაცრუებამ დიდი გავლენა იქონია მეციხოვნეებზე. სტესელმა გამოაცხადა, რომ სანამ ათასი კაცი შემრჩება, არ დავნებდები იაპონელებსაო რადგანაც იაპონელები განუწყვეტლად უშენენ ყუმბარებს, რუსის გემები იძულებული არიან ხშირად იცვალონ ადგილები. 24 სექტემბერს აქეთ „რეტვიზან“-სა, „პოლტავა“-სა და „პერესვეტ“-ს ხშირად ხვდებათ ყუმბარები.— „რეშიტელნი“-ს მეზღვაურები შანჰაიში შეუერთდებიან „ასკოლდ“-ის მეზღვაურებს. ოფიციალური ცნობებით, იაპონიის ჯავშნიანი გემი „იაშიმა“ დიდი ხანია, რაც დაიღუპა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

19 ოქტომბერი

მუკდენი, 18 ოქტომბერი. იაპონელები ცნობებს ავრცელებენ, ვითომ რუსის სალდათები წითელ ჯვრის ნიშნებს იკეთებდნენ და ბრძოლის შემდეგ სასანიტარო მოსამსახურეების მოვალეობას ასრულებდნენ. ეს ჩვეულებრივი სიცრუეა. ბრძოლის ველზე წითელ ჯვრის ნიშნებს მხოლოდ სანიტარები იკეთებენ; ესენი ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ, თუმცა სამხედრო მუნდირი კი აცვიათ. იაპონელებს კი მძიმედ დაჭრილ რუსები არ მიჰყავთ ბრძოლის ველიდან, ვითომ იმ აზრით, რომ თითონ რუსებმა მოუარონო. ესეთი ქცევა იმ დროს, როდესაც ჯერ არავინ იცის, ვის დარჩება ბრძოლის ველი,—ნამდვილი ბოროტებაა. მძიმედ დაჭრილის დატოვება ბრძოლის ველზე მხოლოდ გაუნათლებელ ერს შეეფერება. იაპონიიდან მოსულ დეპეშებში სწერია, ვითომ რუსის სალდათები ჩინურ ხალათებს იცვამდნენ იაპონელების მოსატყუებლადაო; რუსები ამ ტანსაცმელს მხოლოდ იმ მიზეზით იცმენ, რომ უცებ აცივდა და ღამე ძლიერა ჰყინავს. გინდ ჩინური ტანისამოსი ჩაიცვან, რუსები მაინც იმდენად განსხვავდებიან ჩინელებისაგან, რომ ჩინელად არავინ ჩააგდებს, იაროსლაველ წვერიან, თეთრ სახიან სალდათს არავინ ჩასთვლის ყვითელ სახიან, შავთმიან აზიელად.

ჩიფუ. 18 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, იაპონელთა გემები იტვირთებიან ჩიფუში, უმთავრესად სურსათის წასაღებად ჯარისათვის დალნიში. გემების სიტყვით, ისინი ვეიხაივეიში მიდიან, მაგრამ ნამდვილად კი არასოდეს არ შედიან იქ. ცინტაუდან იტყობინებიან, რომ იქ „ცესარევიჩ“-ს შეკეთება სწარმოებს. ერთი კვირის წინ, ორი პატარა გემი მოვიდა პორტ-არტურში, სამხედრო მასალით და სურსათით დატვირთული, გემებზე საფრანგეთის დროშები იყო. ადმირალ ტოგოს ესკადრა განუწყვეტლად უშენს ყუმბარებს პორტ-არტურს.

ტიანძინი, 18 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი იტყობინება, რუსები ფიქრობენ, რომ საზამთრო სადგომებს არმიისათვის ტელინთან მოაწყობენ. ქალაქსა და მდინარეს შუა მრავალი სიმაგრეებია. ველი წარმოადგენს მიხვეულ-მოხვეულ სანგრებს, ადგილ-ადგილ ნაღმებია ჩაწყობილი. ამ ადგილებში მრავალი ორმოებია ამოთხრილი. ამბობენ, რომ მუკდენსა და ტელინში ყოველ დღე სიკვდილით სჯიან ხუნხუზებს, რომლებსაც ძარცვასა და ყაჩაღობას აბრალებენ. მონგოლიიდან ათასი თავი საქონელი ცხენები მოჰყავთ რუსის არმიისათვის.

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს. 17 ოქტომბერს ჩვენ მარცხენა ფრთაზე მოხალისეთა 2½ სოტნამ დაზვერა ადგილები სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. სოფელ სანდიანძის სამხრეთით სერზე ჩვენ რაზმს შეხვდა იაპონელთა ქვეითა ჯარის ერთი როტა და ერთი ესკადრონი. რაზმმა უკუაქცია იაპონელები ამ სერიდან. ჩვენმა რაზმმა გაიარა 5 ვერსტი სამხრეთ-დასავლეთისაკენ. 17 ოქტომბერს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა დაზვერა ადგილები მდინარე ხუნხეს მარცხენა ნაპირზე, სოფ. ფუტოიადუანძის მხარეს. გამაგრებულ სოფელ ფუტოიადუანძიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან რუსებმა უკუ აქციეს იაპონელები და დაიჭირეს ეს სოფლები. იაპონელებმა უკან დაიწიეს სოფ. ლიდეუნიანტუნისკენ, გამაგრებულ პოზიციაზე, (ფუტოიადუანძის სამხრეთით, 2 ვერსის მანძილზე) და ორის ბატარეიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენ არტილერიას. ჩვენმა ყაზახთა სოტნამ ესაულის კოსოროტოვის უფროსობით, იერიში მიიტანა იაპონელთა ერთ ბატარეაზე; ყაზახთა ერთი ნაწილი მიესია მტრის ბატარეის მფარველ სანგრებს, სხვები კი არტილერიის სანგრებს, სადაც გაუვანილ მავთულებს წააწყდნენ და უკან დაიწიეს.

ჩვენ დაგვიჭრეს და მოგვკლეს 40-მდე ყაზახი. რამდენიმე ტყვიით დაიჭრა ესაული კოროტკოვი, ჩვენ რაზმმა გაშინჯა მტრის პოზიცია და ჯარის რაოდენობა, და უკან დაიწია.

პეტერბურგი. გენერალ ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობას, 19 ოქტომბერს. 18 ოქტომბერს ღამე მტერთან შეტაკებათა შესახებ ამბები არ მოსულა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

18 ოქტომბერი.

პარიჟი. ნელიდოვმა გადასცა ლუბეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი მხატვრის ტკაჩენკოს სურათი, რომელზედაც წარმოდგენილია რუსეთის სამეფო ოჯახის მისვლა გემ „შტანდარტ“-ით დიუნკირხენს, 1901 წელს.

ყაზანი, 17 ოქტომბერს ღამე ალაფუზოვის ქარხანაში „მუშების გაუფრთხილებლობის გამო ცეცხლი გაჩნდა. სამ შენობაში დაიწვა საფეიქრო, ქიმიური და ტყავის მოსამზადებელი განყოფილებანი. უსაქმოდ დარჩენილ 1,315 მუშას ქარხანის გამგეობამ სხვა შენობებში მისცა სამუშაო. ცეცხლი მთელ ქარხანას ემუქრებოდა, მაგრამ ცეცხლის მქრობელთა რაზმმა დროზე ჩააქრო იგი.

19 ოქტომბერი

სოფია. 18 ოქტომბერი. ნაშუადღევის 2 საათზე მეფე პეტრე წავიდა. მთავარმა გაცილა მეფე სადგურამდის და შეჰყვა მას ვაგონში. წრფელ ბაასის შემდეგ ისინი გამოეთხოვნენ ერთმანეთს. როცა მატარებელი დაიძრა, 101 ჯერ გაისროლეს ზარბაზანი.

პეტერბურგი. სუვალკის გუბერნატორი არციმოვიჩი დაინიშნა პეტროკოვის გუბერნატორად, კალიშის ვიცე-გუბერნატორი სტრემოუხოვი დაინიშნა სუვალკის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 15 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,25
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	415
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	89⅛
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	244 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო. მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ლიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, საზოგადოების წესდების მე-77 § ის ძალით, მდგომარე წლის 27 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, საზოგადოების სადგომში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიყიდება შემდეგი მამულები, რომელიც ბანკს დარჩა:

1. **რიბაკოვი პ. ი.:** მიწის ნაჭერი, ზომით 145 ოთკუთხი საჟენი, ორ-სართულიანი სახლი სარდაფითა და ოთხის ორ-სართულიანის ფლიგელით. მე-10 ნაწილში, პირველ შადაკების ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 15,377 მან. 83 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—1231 მან. 71 კაპ.

2. **ტერ-პოღოსოვი ო. დ.:** მიწა, ზომით 100 ოთხკ., საჟენი, სამ-სართულიანი სახლი სარდაფითა და მინაშენებით. 1 ნაწილში, უდელნის ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 21,039 მან 02 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—2457 მან. 99 კაპ.

ამ მამულების საჯარო გაჭრობა დაიწყება იმ თანხიდან, რომელსაც დაასახელებენ მსურველნი, ამასთან საჯარო გაჭრობის დამტკიცება დამოკიდებული იქნება საზოგადოების გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებისაგან.

ვისაც გაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან საზოგადოების კასსაში უნდა შეიტანოს ბედ თითო ზემოდასახელებულ მამულის საგირაოდ 500 მან.

თუ მყიდველი მოისურვებს, შეიძლება იმის სახელზე გადატანილ იქნას ამ მამულების თავნი ვალიც.

საჯარო გაჭრობის დაწვრილებითი პირობები და დასახელებულ მამულების შესახები ქაღალდები და საბუთები მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები საზოგადოების გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (6—6.—2)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი ეკიმოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—65)

გამოვიდა და იყიდება
„ეგნატე ნინოშვილის
(ინგოროყვა) სრული თხზულება

წიგნში მოთავსებულია ჯერ არსად და ისტორიული რომანი „**სამწუხარო შედეგი**“, სხვა-და-სხვა მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები, ვრცელი კრიტიკული განხილვა **ივანე გომართელისა**, მოკლე ბიოგრაფია, დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები და სხვა-და-სხვა წერილები ეგ. ნინოშვილის შესახებ და ავტორის სურათით.

მსურველთ შეუძლიან მიმართონ წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში. (10—5—8)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წლიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წლიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(ც. 9—15) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	ქ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	5
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	2
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მზრუნველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა
და მეცნიერება
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—6.—9

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.